

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

გიორგი მაისაშვილის ისტორია

გიორგი მაისაშვილი, სტუდენტია, მას ბრალად ედება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა და პოლიციელის შეურაცხყოფა. ის 2024 წლის 30 ნოემბერს, 06:30 საათზე, რუსთაველის გამზირზე დააკავეს.

გიორგი აქციაზე ძმასთან და მეგობრებთან ერთად იმყოფებოდა, რა დროსაც გაიგო, რომ აპირებდნენ აქციის მონაწილეთა ალყაში მოქცევას, ამიტომ ცოტა ხნით ბესიკის ქუჩაზე შეყოვნდნენ და შემდეგ დაიძრნენ უკან რუსთაველისკენ. ამ დროს, ე.წ რობოკოპებმა ჩამოირბინეს ლაღიძის ქუჩიდან. გიორგი მოტრიალდა და დაინახა, როგორ მივარდნენ მის ძმას, წააქციეს და ფეხებით შედგნენ ზემოდან. ის მაშინვე ძმისკენ გაემართა დასახმარებლად, თუმცა გიორგის თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს თავში, ძირს დაეცა და საგნის ჩარტყმის გამო მოიკეცა. პარალელურად რობოკოპები აგრძელებდნენ მის ცემას. მალევე დაკარგა გონება და მახსოვრობა პერიოდულად უბრუნდებოდა. გიორგის პერიოდულად ახსოვს პოლიციის მანქანაში ყოფნა.

გიორგის დაზიანებული ჰქონდა თვალი, მრავლობითი ჩაქცევებით. ის გადაიყვანეს პოლიციის პატარა მანქანაში და დილით მიიყვანეს ჯერ პოლიციის სამმართველოში და შემდეგ ავჭალის დროებითი მოთავსების იზოლატორში, თუმცა იმის გამო, რომ რიგი იყო საღამომდე ვერ მოხდა შესახლება.

დაკავებული ძალიან ღელავდა მისი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. დაკავებისას ჩამოართვეს პირადი ნივთები, დაკარგა პირველადი სამედიცინო დახმარების ჩანთა და სკეიტი. გიორგისთვის განსაკუთრებით რთული იყო როცა ვერ იგებდა მისი ძმის მდგომარეობას, მხოლოდ პოლიციის სამმართველოში, ტელევიზიით, საინფორმაციო გამოშვებაში დედის ინტერვიუს შემდეგ გაიგო, რომ მისი ძმა, გადაყვანილი იყო საავადმყოფოში.

რადგან იმ დღეს დარბევისას დააკავეს ბევრი ადამიანი, ავჭალის იზოლატორში როგორც შესახლების პროცედურა, ასევე ადვოკატთან შეხვედრა ძალიან გაჭიანურდა, შეხვედრის ოთახების სიმცირის გამო. მიუხედავად იმისა, რომ გიორგი იყო სასტიკად ნაცემი, მას გაუხანგრძლივეს ვადა წინასწარი დაკავების იზოლატორში 48 საათამდე და შემდეგ გადაიყვანეს სასამართლოში.
გიორგისთვის პატიმრობის დროს რთული იყო, რომ არ იცოდა მისი ძაღლის მდგომარეობა, რომელსაც ახალი გაკეთებული ჰქონდა ოპერაცია და გიორგი უვლიდა.
წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გიორგი სამედიცინო დაწესებულებაში არ გადაუყვანიათ, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების შემდეგ მას დასჭირდა ექიმთან ვიზიტი და მკურნალობა. კერძოდ, MRS (მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია) და მკურნალობა თვალზე.

გიორგის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების საფუძველზე. მისი საქმე განიხილა მოსამართლე მანუჩარ ცაცუამ. საქმეზე ჩვენება მისცა ორმა პოლიციელმა. სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი არ ყოფილა არც-ერთი მტკიცებულება, გარდა პოლიციელების ჩვენებებისა, რომელიც ყველა პროცესზე ერთი და იგივე და სტანდარტულია - „ვასრულებდი ჩემს სამსახურებრივ მოვალეობას, რა დროსაც დავინახე მოქალაქე, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა გიორგი მაისაშვილი, რომელიც არ ემორჩილებოდა ჩვენს მოთხოვნას, დაეტოვებინა ტერიტორია, რადგან არ გვქონდა შესაბამისი ეკიპირება, ვთხოვეთ გდდ-ს თანამშრომლებს დაეკავებინა) მოსამართლემ მხოლოდ პოლიციელების ჩვენებების საფუძველზე, ისე, რომ არ გაითვალისწინა არც საქმის გარემოებები, არც გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობა და წარდგენილი მტკიცებულებები, შეუფარდა პატიმრობა 6 (ექვსი) დღის ვადით.

რადგან თბილისის იზოლატორში აღარ იყო ადგილები, გიორგი გადაიყვანეს ქუთაისის იზოლატორში.
გარდა არაადამიანური მოპყრობისა, აღსანიშნავია, რომ გიორგის დაკავების დროს, გიორგის ჩამოართვეს პირადი ნივთები, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ უკან დაუბრუნეს, თუმცა ნივთების უმეტესობა დაკარგული იყო.

არსებული ინფორმაციით, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო მოკვლევა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო ფაქტზე. გიორგი დაიბარეს განყოფილებაში, სადაც ის გამოიკითხა და ჩაუტარდა ექსპერტიზა. პოლიციელის ქმედება უფლებამოსილების გადამეტებასთან ერთად შესაძლოა შეფასდეს როგორც წამება ან/და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობა. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გიორგისთვის ამ ეტაპზე დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებია, ასევე არ მომხდარა დამნაშავე პირების იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.